

საპრეზიუმე

თბილისი
2008 წლის
ნოემბერი

საერთო უკრაინული გაზეთი №032 (3256)

ფასი 50 თეთრი



დინამო პრეზიდენტი დაკარგა

გუშინ სამსახურად ამბავი შეიტყო ქართულმა საზოგადოებამ. ლონდონში გარდაიცვალა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი.

კლუბის სახელით ოფიციალური განცხადება პრესამსახურის ხელმძღვანელმა გიგა გვენცაძემ მოგვანოდა:

კლუბის თითოეული წევრისთვის ეს ტრაგედია შოკის მომგვრელი გახლდათ. ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის მიუხედავად, გუნდი აგრძელებს მზადებას საქართველოს თასისა და ჩემპიონატის მატჩებისათვის.

ტრაგედიის შემდეგ კლუბის თითოეული წევრი გაორმაგებული ენერჯით გააკეთებს თავის საქმეს, რათა კლუბის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნის პატივსაცემად ახალი ტიტულები მოიპოვოს.

ასეთი ვითარებაა დღეს „დინამოში“. რა იქნება მომავალში, ამას კლუბის მფლობელი კომპანია გადაწყვეტს.

ფეხბურთის ფედერაცია ადასტურებს ზესტაფონის უარს დღეს თანხმობით უნდა შეიძვალოს

მთავარი ხითხვა ხი ისევ უვასუხოა: თუკი მიზეზი უფულობა იყო, საიდან ერთ დღეში ფული?!



ზესტაფონის ჩამპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგებობის დღევანდელ სხდომაზე გადაწყდება

გადამი კატილაძის ფოტო


საფრთხე აღარ არის: ზესტაფონთან გასარკვევი ბაირაჟი უნა უგულავა: ტოპიოლოგის კონტრაქტი სამ ნაწილად დაიყო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უნა უგულავამ გუშინ განცხადება გააკეთა, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ თითქმის ყველა პრობლემა მოგვარებულია და უკვე ხვალიდან გუნდი ჩვეულებრივ განაგრძობს ჩემპიონატისა და თასის გათამაშებისთვის მზადებას...

„ზესტაფონის“ საქმე გახმაურებულია — გუშინდელი კლუბმა ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვა, ფული აღარ გვაქვსო. ზესტაფონელთა ამგვარი განცხადების ნაღვლიანი მიზეზებზე ხმამაღლა ჯერ არავინ ლაპარაკობს, თუმცა აქა-იქ ამბობენ, ეს ამბები სატრანსფერო საკითხებს უკავშირდებაო. ჩვენც უნა უგულავას სწორედ „ზესტაფონის“ თაობაზე დაუუკავშირდით, მერე კი ერთი-ორი სხვა საინტერესოც გავიგეთ...

— „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობას უკვე ვესაუბრეთ და გასარკვევიც გავარკვეეთ. ფედერაციასა და კლუბს შორის არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა და არც ახლა არის. ვფიქრობ, აღარ არის იმის საფრთხე, „ზესტაფონმა“ ჩემპიონატი და თასის გათამაშება მიატოვოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საუბრის შემდეგ ამის თქმის საფუძველი მაქვს. მცირე პრობლემები დღეს-ხვალ მოგვარდება...

განცხადება მართლაც უფულობით იყო განირობებული? — კერძოდ გეტყვით, ფაქტი ის არის, რომ „ზესტაფონის“ განცხადებაში სწორედ უფულობაა მითითებული. — მოკლედ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პრობლემა მოგვარებულია? — ჩვენი საუბრის შემდეგ ამის თქმის საფუძველი გვაქვს და იმედია, „ზესტაფონი“ ისევ ქართული ფეხბურთის სამსახურში იქნება.



და თასის გათამაშების ჩატარების უფლებების სრულად გადაცემა იქნება.

— როგორც ვიცით, კლუბს ტოპიოლოგთან ახალი კონტრაქტის პირობები, რამდენიმე წელიწადის ვარაუდით, შეთანხმებულია. ვერ გვეტყვით, კონტრაქტში რა წერია?

— ერთს გეტყვით: ახალი კონტრაქტი პირობითად სამ ნაწილად იქნება დაყოფილი. პირველად კონტრაქტს წელულისკენ, შესარჩევი ციკლის პირველი ოთხი თამაშის შემდეგ გადავხედავთ და თუ ეროვნულმა გუნდმა ამ ოთხი მატჩიდან ქულების გარკვეული რაოდენობა ვერ მოაგროვა, ტოპიოლოგთან კონტრაქტი ავტომატურად გაუქმდება. შემდეგი ეტაპი თებერვლიდან აპრილის მატჩის ჩათვლით იქნება — ამ პერიოდში ნაკრები სამ თამაშს ჩაატარებს და აქაც იგივე პრინციპით ვიხელოვებთ. თუ ამ შემთხვევებში დაგეგმილზე ნაკლებ ქულას ავიღებთ, კონტრაქტი შეწყდება. ხოლო თუ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც გვსურს, ცხადია, კონტრაქტს შესარჩევის დამთავრების შემდეგაც მიუხედავად იქნება.

— ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელების ვინაობას როდის გამოაცხადებთ?

— ალბათ მაშინ, როცა ტოპიოლოგთან ახალ კონტრაქტს გავფორმებთ. ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ 17 და 19-წლამდელთა მწვრთნელები აუცილებლად ქართველები იქნებიან.

კობა ინასარიძე

ქომაგები კოკაიას გამოაქომაგნენ

გუშინ ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე „ზესტაფონის“ 200-მდე გულშემატკივარი მივიდა და გულშემატკივარი გამოთქვა კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. ქომაგებს ეეჭვებათ, უფინანსობა იყოს ნამდვილი მიზეზი და აქედან გამომდინარე წერილობით მიმართავენ.

ფონში ფეხბურთი ააღორძინა. ფინანსურ გაჭირვებაზე აქამდე არაფერი თქმულა და ძალიან გვაინტერესებს, სხვა პრობლემასთან ხომ არ გვაქვს საქმე. ქომაგები მზად ვართ, გვერდით დაუდგეთ ბატონ ილიას და ერთად ვიბრძოლოთ ზესტაფონში ფეხბურთის გადარჩენად.

ამ წერილს ამავე გვერდზე ნახავთ, ჩვენ კი გუშინ გულშემატკივართა კლუბის წევრ ოთარ მალაქელის გავესაუბრეთ:

და კიდევ: გუშინ ზესტაფონში ინდივიდუალურად ივარჯიშეს ლეგიონერებმა — პოლ კესანმა, ჟილვან ვეირამ, ჟონატას ტორესმა და ეტიენ ბიტომი. მათ მოგვიანებით სევასტი თოდუაც შეუერთდა...

ბრიგოლ ჭანტურიას: მზად ვარ, უხელფასოდ ვითამაშო



— „ზესტაფონის“ ლიკვიდაცია ქართული ფეხბურთისთვის დამლუპველი იქნება. რამდენიმე წელი შენდებოდა გუნდი, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოდით და ასე თუ დავიშლებით, საშინელება იქნება. — ხელმძღვანელობას ხომ არ შეგვედრისხარ? — ალბათ, უახლოეს დღეებში შეგხვდებით. — ფეხბურთელთა პოზიცია როგორია? — ჩვენ მზად ვართ, მეორე წრე უხელფასოდ ვითამაშოთ. ყველა ერთად დავდგებით და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. — იქნებ ესეც არ სურს ხელმძღვანელობას?

გუშინდელი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში განცხადება შეიტანა, რომ გუნდი საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. მიზეზად კი უსახსრობა დასახელდა. ეს გადაწყვეტილება მთელი საფეხბურთო საქართველოსთვის მოულოდნელი იყო და გაურკვეველობაში არიან ფეხბურთელებიც. გუშინ „ზესტაფონის“ მეკარეს ბრიგოლ ჭანტურიას შევეხმიანეთ და კლუბში არსებულ ვითარებაზე ვესაუბრეთ...

— ილია კოკაიამ ზესტაფონში ფეხბურთი ააღორძინა. ამ ქალაქში ფეხბურთის ბუბია და ეს მისი დამსახურებაა. მეჯერა, კოკაია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ დიდხანს იარსებოს „ზესტაფონმა“. — 17 თებერვალს საქართველოს თასზე რუსთავის „ოლიმპს“ უნდა შეხვდეთ, მაგრამ სავარჯიშო პროცესი რომ შეწყვეტილია? — ინდივიდუალურად ყველა ვვარჯიშობთ — ზოგი ზესტაფონში, ზოგიც თბილისში. მთავარია, გუნდმა იარსებოს.

ნუკრი ლოლაძე

საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის გულშემატკივართა კლუბის მიმართვა

ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ს.კ. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება თვითლიკვიდაციის შესახებ. უკვე მერამდენედ ზესტაფონის საფეხბურთო ისტორიაში...

ოფიციალურ მიზეზად დასახელდა „უსახსრობა“... ჩვენ, „ზესტაფონის“ ფან-კლუბის წევრები, შეშფოთებული ვართ ამ ფაქტის გამო. ეს არის ნამდვილი ტრაგედია ჩვენი ქალაქისა და მთლიანად საქართველოს ფეხბურთისთვის. ს.კ. „ზესტაფონმა“ ბოლო წლებში განმავლობაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერად იქცა, რაც მისი პრეზიდენტის, ჩვენთვის საყვარელი ადამიანის, ბატონ ილია კოკაიას დამსახურებაა. მან მთელი გული და სული ჩადო გუნდის წარმატებაში. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ოფიციალური მიზეზი „უსახსრობა“(!?), რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია და აქ სულ სხვა, უფრო სერიოზულ მიზეზთან უნდა გვეკონდეს საქმე...

ჩვენ არ შეგუდგებით ამ მიზეზების ძებნას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემები მალე საქართველოს ჩემპიონატის სხვა გუნდებსაც შეექმნებათ. ამით კი იზარალებს მთელი ქართული ფეხბურთი.

ს.კ. „ზესტაფონის“ ფან-კლუბი მიმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას და ბატონ ილია კოკაიას თხოვნით — გამოიხსნოს საერთო ენა იმისათვის, რომ ისეთი შესანიშნავი გუნდი, როგორც ს.კ. „ზესტაფონია“, არ გაქრეს საფეხბურთო სამყაროდან. მით უმეტეს, რომ ზესტაფონში საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდა (ს.კ. „ზესტაფონის“ ბაზაზე სხვადასხვა ასაკის 250-მდე ბავშვი ვარჯიშობს).

იმედს გამოვთქვამთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ჩვენ უმორჩილეს თხოვნას, შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და დააბრუნოს ფეხბურთი ჩვენს საყვარელ ქალაქში.

ამ აზრს იზიარებს ზესტაფონის საზოგადოების უდიდესი ნაწილი. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონის“ გულშემატკივართა კლუბის წევრები

Handwritten signatures and names of club members, including names like N. Kuchava, D. M. G. G. G., and others.



მეტი და მეტი მუშაობა

ზურაბ ზოსხვიძე: ევროპაში კონკურენციას საქართველოში კონკურენცია სჭირდება

ორ-ორჯერ ქვეყნის თასი და სუპერთასი, ჩვენი კლუბების კვალობაზე ფერიანი თამაში ევროტურნირზე, რამდენიმე ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა — ეს „იუვენტუსისთვის“ თუ „ლივერპულისთვისაა“ ცოცხალი, მაგრამ იმ კლუბებისთვის, რომლის დაარსებიდან ექვსი წელიც არ გასულა, ამკარად კარგი შედეგია.

„ამერი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მონესრიგებული კლუბია. ეს კი, პირველ რიგში, ზურაბ ზოსხვიძის დამსახურებაა.

„ამერის“ პრეზიდენტთან, რატომ უნდა, მხოლოდ პოზიტიურზე არ გვილაპარაკია — ჯერ ერთი, ახლა არც „ამერს“ უდგას მინცდამაინც კარგი დრო და ზოგადად, არც ქართულ ფეხბურთს. ასე რომ, საუბრისას პრობლემებს უფრო შევხებით...



ნიკა ვაჩიშვილიც ჩაერთვება.

— ჩემპიონატისკენ ყურადღება კარგი იქნება, მაგრამ, რაც გუშინ მოხდა... „ზესტაფონის“ შემთხვევას ვგულისხმობ...

— ეს ძალიან მტკივნეული თემაა. „ზესტაფონთან“ ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ამ კლუბის პრეზიდენტი ილია კოკია მართლაც ბევრ სასიკეთოს აკეთებს ქართული ფეხბურთისთვის. მაინც მაქვს იმედი, რომ რაღაც შეიცვლება და „ზესტაფონი“ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს გააგრძელებს.

— „ზესტაფონის“ შემთხვევა არ ნიშნავს, რომ საქართველოში კლუბის გაკეთება წამგებიანი ბიზნესია?

— წმინდა კომერციული თვალსაზრისით, ნამდვილად წამგებიანია.

— თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრიც ხართ და საინტერესოა, ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა მუშაობას როგორ აფასებთ?

— ამასთან დაკავშირებით ყოველთვის ერთ აზრზე ვიყავი: მათ აქვთ დიდი რეზერვი მუშაობისთვის. რაც შეიძლება დადებითად ჩაუთვალოთ, ბოლო პერიოდში მეტ ყურადღებას აქცევენ ეროვნულ ჩემპიონატს. მაგრამ შედეგი არ არის და ამაზე უნდა დაფიქრდნენ. ესე იგი, მეტი უნდა იმუშაონ. სამუშაოდ კი მათ პირობები აქვთ.

— ასეთი ტენდენციაც შეიმჩნეოდა: ფეხბურთის აღორძინება ნაკრებებით დაიწყო, მერე კი ყველაფერი დანარჩენი...

— ნაკრები გაკავითით და მერე ყველაფერი იქნება — არასწორი მიდგომა. საქართველოს ნაკრებში საქართველოს მოქალაქეები თამაშობენ, ისინი კი ეროვნულ ჩემპიონატში დგამენ პირველ ნაბიჯებს. რატომ უნდა, დრო მოვა და, ეს ფეხბურთელები უცხოეთის გზას დაადგებიან, მაგრამ რაც უკეთესი ჩემპიონატი გვექნება, ხომ უფრო მომზადებულიები წავლენ...

— ამტყუნებთ იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი? თუნდაც ახალგაზრდა და მოუწიფებელი იყოს...

— არანაირად. როცა უკეთეს პირობებს სთავაზობენ, წასვლა ენდომებათ და ეს ბუნებრივია, თუმცა გააჩნია, წასვლის ფორმას. ხშირად კი საქართველოში ფეხბურთელი ერთი გუნდიდან მეორეში დამახინჯებული ფორმით გადადის, ან ცდილობს გადასვლას.

— „ამერი“ სხვა ქართულ კლუბებთან შედარებით, მაინც წელგამართულ კლუბად რჩება და საინტერესოა, რატომ არ უთამაშია თქვენთან არც ერთ ლეგიონერს?

— ჩემი პრინციპი სულაც არ არის ლეგიონერებზე უარის თქმა. განსხვავებულ გვეოლია უცხოელი ფეხბურთელები, თუმცა, წმინდა სამუშაო პროცესიდან გამომდინარე, მათზე უარი ვთქვით. „ამერი“ ბრძანდებოდა ფეხბურთელის აყვანას ერიდება, თორემ ულევინებოდა თამაში ჩვენი სტრატეგია სულაც არ არის.

ქართველოს ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელსაც შეკრება არ გაუვლია. „ამერი“ კი, ხშირად ყოფილა, უცხოური შეკრებიდან დაბრუნებული და თამაშში გაუმჯობესება არ დასტყობია. რატომ ხდება ასე?

— შესაძლოა, თბილისში გავლილი შეკრება უცხოურზე ნაყოფიერი გამოვიდეს. ეს მუშაობის ხარისხზე დამოკიდებულია. ეროვნული ჩემპიონატის შედეგებზე ხშირად მოქმედებს გუნდების არასტაბილური მდგომარეობა, ზოგიერთ გუნდში ყოველ სამ თვეში ახალი ფეხბურთელები მიდი-მოდიან... ეს ცალკე თემაა...

— არასწორ მენეჯმენტს გულისხმობთ?

— პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზას. მატერიალური ბაზა, ინტელექტუალური რესურსი და შემდეგ მოდის მენეჯმენტი. დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო პერსონალს, მსაჯობის დონეს...

— არ თვლით, რომ ჩვენს ჩემპიონატში მსაჯები „დაცულნი“ არიან? ვგულისხმობ იმას, რომ ფეხბურთელები უფრო მკაცრად ისჯებიან...

— მსაჯობა არ არის ქართული ფეხბურთის უპირველესი პრობლემა. მთავარი მაინც ფეხბურთია, სათამაშო დონე... უბრალოდ, ვთვლი, რომ მსაჯებთან მუშაობა არადაშეკმაყოფილებლად მიდის, მათი შეცდომების ხასიათს, გამომწვევ მიზეზებს არ ექცევა საკადრისი ყურადღება.

— პირველი წრის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშისას „ამერის“ ფეხბურთელები მინდვილად გაიყვანეთ და მატჩი შეწყდა. თქვით კიდევ, ეს ცხელ გულზე არ გამოკეთებიათ. იგივე მსაჯობა რომ განმეორდეს, როგორსაც „ამერი“ — „ვიტ ჯორჯიასას“ მიიჩნევდით, რას იზამთ?

— მაშინდელი გადაწყვეტილება არგუმენტებიდან გამომდინარე მივიღე. თუ განმეორდება? მაშინ სერიოზულად დაფიქრდები, რაღა აზრი აქვს ფეხბურთს. გამოდის, რომ ფეხბურთზე უარს ვამბობთ. ვფიქრობ, რომ იმ მატჩში რა მსაჯობაც იყო, ცალკეული ფაქტი იქნება.


— გუნდმა ბოლო ორ წელიწადში ოთხი ტიტული მოიგო, მაგრამ როდის მოვა დრო, როცა „ამერი“ ევროპაში ანგარიშგასაწვევი გუნდი გახდება? მიზანი ხომ სწორედ ეს არის...

— „ამერის“ განვლილ გზას ძალიან დადებითად ვაფასებ. კარგად იმუშავეს მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა. ევროპაში რომ ანგარიშგასაწვევი ძალა გავხდეთ, ამას დრო სჭირდება და ჯერ ამისთვის არ მიგვიღწევია — ამას განსაკუთრებული გარემო სჭირდება საქართველოს ჩემპიონატში. როცა ეს გარემო იქნება, შენც კონკურენტუნარიანი ხდები მაღალ დონეზე სათამაშოდ. ისე არ უნდა იყოს, ლიდერი აუტსაიდერს რომ ხელება, წინასწარ იცოდეს, რომ მოგებულა. ბავშვთა ფეხბურთიც იქამდე ვერ აღორძინდება, სანამ ბავშვს მაგალითი არ ექნება. ხომ უნდა იცოდეს ბავშვმა, რისკენ მიდის. დღეს მშობელს იმიტომ მიჰყავს შვილი ფეხბურთზე, რომ მერე მან „ბარსელონაში“ ითამაშოს.

— ეროვნული ჩემპიონატის ასაღორძინებლად სახელმწიფო პროგრამა შემუშავდა, თუმცა მისი განხორციელება იკვინება...

— პროგრამის არსებობა ძალიან კარგია. კულტურის, სპორტისა და ძველთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან ბევრს აკეთებდა. ის აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში და იმედი, ახალი მინისტრი

ილია ნანოგაფილი



მინუს 4 სომხეთი ჩვენი მეზობელია

6 თებერვალს გამართულმა ამხანაგურმა მატჩებმა ფიფა-„კოკა-კოლას“ სანაკრებო რეიტინგში გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ახალი წელი მინუსით დაიწყო — ჩვენებმა ლატვიას დია კარის დღე რომ მოუწვევს და მოელი „ნაშრომი“ დაუგავს წყალს გაატანეს, რეიტინგში 30 ქულა და 4 ადგილი დაკარგეს. კლასუს ტომპილერის გუნდი ახლა მე-80 პოზიციაზეა.

სამაგიეროდ, ევროპული ქვეყნების ნაკრებებს დამორღვენ და უფრო ევროპულს დაუახლოვდნენ — მეზობლებად სლოვენია და სომხეთი გვეყავს.

ჩვენი მეტოქე თანაგვეგულებიდან წინსვლა არავის გამოუვიდა, არადა, წაგებით მხოლოდ ირლანდიამ წააგო და ისიც ბრაზილიასთან... ირლანდიამ და იტალიამ (ნეიტრალურზე 3:1 მოუგო პორტუგალიას) ადგილები შეინარჩუნეს, ბულგარეთმა (სტუმრად 1:0 მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიას) და კვიბროსმა (შინ 1:1 უკრაინასთან) თითო ადგილით უკან დაიხიეს, ჩერნოგორიამ (არ უთამაშია) კი სამი პოზიცია დაკარგა.

მკრევე ცვლილება საუკეთესო ათეულში — ცხრა ნაკრებს პოზიცია არ შეუცვლია, სამაგიეროდ, პოლანდიასთან საშინაო მარცხმა ხორვატები ათეულს მიღმა დატოვა, მათი ადგილი კი ბერძნებმა დაიკავეს.

მიხეილ შორგოლიანი

1	1	არგენტინა	1518
2	2	ბრაზილია	1502
3	3	იტალია	1484
4	4	ესპანეთი	1352
5	5	გერმანია	1281
6	6	ჩეხეთი	1244
7	7	საფრანგეთი	1223
8	8	პორტუგალია	1191
9	9	ჰოლანდია	1179
10	11	საბერძნეთი	1142
19	18	ბულგარეთი	919
36	36	ირლანდია	703
66	65	კვიბროსი	492
80	76	საქართველო	384
175	172	ჩერნოგორია	65

I გრაფა — ადგილი; II — ადგილი წინა თვეში; III — ქვეყანა; IV — ქულა



მიხეილ აშვეთიამ გოლების გემო „ანჟიში“ გაიხსენა

გუგუე ლოსკოვი მოიკბო აზვითიას გოლგა ანჟი იხსნა

რუსეთის პრემიერლიგა მარტში დაიწყება, მანამდე კი გუნდები ხურდებიან, სეზონისწინა შეკრებებს ძირითადად თურქეთში გადიან და საკონტროლო მატჩებსაც მართავენ.

ბუნებრივია, რუსულ გუნდებში მოთამაშე ქართველებიც ემზადებიან ახალი სეზონისთვის...

მახაჩყალის „ანჟი“ „თანამეგობრობის თაისის“ ფინალისტ ტაშკენტის „ფახთაქორს“ გაეჯიბრა და ფრეს გამორჩა.

დალესტნელები მატჩის დასაწყისშივე ავებდნენ, მაღეკე ფეხბურთელიც გაუძევეს, თუმც კაცნაკლულეებმა მაინც მოახერხეს გათანაბრება — მიხეილ აშვეთიამ პენალტი გაიტანა.

აშვეთიამ, ვალერი აბრამიძემ და გორა ხოჯავამ პირველი ტაიმი ითამაშეს, გიორგი ნაკალაოვსკიმ, ზურაბ არხიანმა და რევაზ ვი-

ქიამ — მეორე რევაზ ბარაბაძეს კი საერთოდ არ უთამაშია.

მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ დმიტრი ლოსკოვის წასვლის შემდეგ, რკინიგზელთა ათნომრიანი მაისურა დიდი ხანია, არავის ჩაუცვამს. ეს ტრადიცია დავით მუჯირმა დაარღვია, რომელმაც სორვატულ „ოსიკთან“ მატჩი ძირითად შემადგენლობაში სწორედ ამ მაისურით დაიწყო. მუჯირი აქტიური კი იყო, მაგრამ ვერც თავად გაიტანა და ვერც თანაგუნდელებს გაატანინა.

რამდენ რახიმოვმა ჩვენებური შესვენებისას ნიგერიელი ოდემვინგით შეცვალა.

მატჩი „ლოკომოტივმა“ 1:0 მოიგო.

ვლადივოსტოკის „ლოუ-ენერჯია“ კი მინსკის „დინამოსთან“ 0:1 დამარცხდა. ლევან გვაზავამ სასტარტოში დაიწყო თამაში და 61-ე წუთზე შეცვალეს.

მიხეილ შორჟოლიანი

მარცვალაქე ისევ უქმობს

ოთარ მარცვალაქე „ზარკოვს“ თურქულ შეკრებაზე კი გააქვეყნდა, თუმცა მატჩში ისევ არ უთამაშია. ზარკოველები რუმინულ „უნივერსიტატას“ შეხვდნენ და 2:0 მოუგეს. ზარკოველთა მეორე ქართველმა კახა ალადაშვილმა სრულად ითამაშა და საოლე ჰასიც მიითვალა.

ასევე რუმინულ „ჩაპლაულს“ შეხვდა გიორგი დემეტრადის „არსენალი“ (1:1). დემე მოედანზე მეორე ტაიმი შევიდა, თუმცა დიდად არ უაქტიურია.

მიხეილ შორჟოლიანი

ქარაპატეხს იქით ორბელაქე

გუზინ ვწერდით, უფგოროდის „ზაკარაპატიეში“ ორ ქართველ მცველს ელიანო, თუმცა ახლა გაირკვა, რომ ორის ნაცვლად, ერთზეა ლაპარაკი — სერგო ორბელაქეზე. რუსთავის „ოლიმპის“ მცველი 2006 წელსაც იყო უკრაინაში, მარიუპოლის „ილიჩევსკი“ ირიცხებოდა...

25 წლის ორბელაქე „ზაკარაპატიეს“ თურქულ შეკრებაზე გააქვეყნა.



ილია ნანოზაფილი

ლატვიელი ქართველობა

ლატვიურ „დინაბურგში“ გასინჯვაზე მყოფმა შოთა ბაბუნაშვილმა მორიგე საკონტროლო მატჩში ითამაშა, თუმცა გუნდს დიდად ვერ დაეხმარა — „დინაბურგი“ 1:2 დამარცხდა ნოვოსიბირსკის „სიბირთან“.

თუ ბაბუნაშვილი სრულად გაისარჯა, მეორე ქართველი, ბაქარ გიორგაძე, ასევე ქართველმა მწვრთნელმა თამაზ პურტიაძემ მხოლოდ მეორე ტაიმი დატვირთა.

რიგის „სკონტოში“ გასინჯვაზე მყოფ ვლადიმერ დვალისშვილს კი ღუბლებთან ერთადაც ათამაშებენ — მან ბოლო ნახევარი საათი გაატარა მოედანზე რუსულ „სატურნის“ ღუბლებთან მატჩში (1:1) და უგოლოდ დაშერა.

მიხეილ შორჟოლიანი

ტრაპატონი დათანხმდა

გადაწყვეტილი ამბავია — ირლანდიის ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი გაწვრთნის.


ამ შეთანხმებას ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ და 68 წლის სპეციალისტმა გუ-

შინ მიაღწიეს, თუმც ტრაპატონი მუშაობას 1 ივნისიდან დაიწყებს.

საქმე ისაა, რომ ტრაპი ამჟამად ავსტრიულ „ზალცბურგს“ წვრთნის და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აქვს.

მიხეილ შორჟოლიანი

ნუ დაანგბრავთ აზენებულს! მროვნულ სტადიონს მიიმა სანი უაეყარა



ჯერ კიდევ შოტლანდიისთან შრშან შემოდგომაზე 2:0 მოგებული მატჩის შემდეგ წერდა „სარბიელი“ იმ უმსგავსო საქციელზე, რაც ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე ხდებოდა.

მაშინ სტადიონის გენერალურ დირექტორ ირაკლი მექმარიაშვილთან ინტერვიუც შემოგთავაზეთ და იმედოვნებდით, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა, თუმცა...



ვაიგულშემატკივრებმა მოგებული თამაშის შემდეგ დალუწეს სკამები და წაგებულის შემდეგ რას იზამდნენ?!

6 თებერვლის სადამოს „ეროვნულზე“ ისევ გაისმა ტკაც-ტკუცი — ლატვიისთან 1:3 წაგება ვილაც-ვილაცებმა სკამებს „დააბრალებს“ და ეს სასოებით გარემონტებულ-გაკობტავებული სტადიონი დღეს საშინელი სახახავია.

სტადიონზე ქცევის წესებს გაზეთიდან ვერავის ასწავლი და ამის ილუზია არც გვაქვს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვეცდებით, მოვუწოდოთ იმ ბიჭ-ბუჭობას, ვინც სტადიონზე ნაკრების საქომადგოდ კი არა, რალაცის დასაშავებლად მიდის: ნუ გააკეთებთ ამას!

ეს ფოტოები ჩვენმა მკითხველმა, სტუდენტმა ალექო ტულუშმა გამოგვიგზავნა, თუმცა არაფერი მოუწერია... რა უნდა მოეწერა?! როგორც იტყვიან, ყველაფერი ისედაც ცხადია!

კახა ზალაზაბიძე



განსიანი რომას ისანბრებელი



მიმდინარე სეზონში ამანტინო მანსინი „რომას“ უდავოდ ყველაზე სასარგებლო და შეუცვლელი ფიგურაა. „ჯალროსის“ კაპიტნის და სიმბოლოს ფრანჩესკო ტოტის არყოფნა დიდად არც იგრძნობოდა ხოლმე და ეს პირველ რიგში სწორედ ბრაზილიელის დამსახურებაა, რომელიც ბოლო წლებში და განსაკუთრებით ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია.

მას მიანიჭა, რომ კლუბთან ახალი კონტრაქტის თაობაზე გაწეული მოლაპარაკებები სულ მალე წარმატებით დასრულდება და მხარეები მრავალი წლით გაახანგრძლივებენ მოქმედ შეთანხმებას. არადა, ერთ

დროს მანსინი წასვლაზეც საუბრობდა და მას მსურველები არც დღეს აკლია. თუმცა ამბობენ, ეს იყო ბრაზილიელის კიდევ ერთი ხრიკი მიზნის მისაღწევად. მისი მიზანი კი ის გახლავთ, რომ „რომას“ ხელფასი გააზრდევინოს.

„ახალ კონტრაქტზე ვმუშაობთ, შესათანხმებელი რამდენიმე უმნიშვნელო დეტალია და იმედია, ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოგვარდება“ — თქვა შემტვემა ნახევარმცველმა „ლა გაბელა დელო სპორტთან“ საუბარში.

დღეს „რომა“ ლიდერ „ინტერს“ 8 ქულით ჩამორჩება და მძიმე პერიოდის მოლოდინშია. უახლოეს

მატჩებში დედაქალაქელები ჯერ „იუვენტუსს“ ხვდებიან, მერე კი ჩემპიონთა ლიგაში — მადრიდის „რეალს“. თუმცა მანსინი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„მხოლოდ საკუთარ თამაშზე უნდა ვიფიქროთ და რაც შეიძლება მეტი ქულა მოვაგროვოთ. სეზონის ბოლოს გამოჩნდება, ვინ რომელ ადგილზე გავა. ვგრძნობ, რომ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ დიდი წარმატებების მისაღწევად. ამჟამად კარგ ფორმაში ვარ, ისევე, როგორც მთელი გუნდი და ვიმედოვნებ, რომ ასე დიდხანს გაგრძელდება. რთული პერიოდი, როცა სათანადოდ ვერ ვირჯუბოდი და ვნერვიულობდი, უკან მოვიტოვე წინ მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ცხადია, ჯერ „იუვენტუსზე“ ვფიქრობთ და „რეალზე“ მერე გადავერთვებით. თუ ჩვენი ძალა და ხასიათი გამოვაფლენით, მოვივებით კიდევ“ — თქვა ბრაზილიელმა.

მანსინის „ინტერისადმი“ მსაჯვების კეთილგანწყობაზეც ჰკითხეს ახრი. „მიღანელებს საოცრად ძლიერი გუნდი ჰყავთ და არ მინდა არბიტრების შეცდომებზე ვისაუბრო. ცხადია, სამწუხაროა, „ნერაძურის“ 8 ქულით რომ ჩამორჩებით, მაგრამ მთავარია, სიმშვიდე შევიწარმოოთ და კონცენტრაცია არ დავკარგოთ“ — დასძინა ამანტინომ.

გიორგი კაკაბაძე

ტოტის ზენოლა ახსენა

„ინტერი“ და მსაჯვები იტალიაში დღეს ერთ-ერთი მთავარი თემა რომ არის, კარგად მოგეხსენებათ. ამ საკითხზე თავისი აზრი ფრანჩესკო ტოტისაც გამოთქვა. „რომას“ კაპიტანი თვლის, რომ არბიტრების ამდენი უხეში შეცდომა ფსიქოლოგიური ზეწოლისა და დიდი კლუბებისადმი, განსაკუთრებით კი „ინტერისადმი“ დახმარების ქვეცნობიერი ინსტინქტის ბრალია.

„ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ზეწოლისა და „ინტერისადმი“ სხვადასხვა მიზეზების გამო ქვეცნობიერი სიმპათიების ბრალია. ახლა ყველას ემინია და ყველა ერიდება „ნერაძურის“ საწინააღმდეგოდ რამის თქმას, არადა, სათქმელია რომ ითქვას, ვითარება გამარტივდება. არ ვამბობ, რომ „ინტერი“ ვინმეზე ზეწოლას ახდენს და მსაჯვების შეცდომებით სარგებლობა უნდა. მიღანელებს ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც თამაშებს მინდორზე იგებენ, მაგრამ ხანდახან მათ ცოტა ეხმარებიან კიდევ“ — თქვა ტოტიმ.

ერთი სიტყვით, „ერ პუპონე“ ცდილობდა, მაქსიმალურად კორექტული ყოფილიყო და მწვავე კომენტარი არ გამოსვლიდა, მაგრამ გარკვეული მინიშნებები მაინც გააკეთა და „იუვენტუსიც“ გაიხსენა.

„ფიქრობ, მსაჯვები ყოველთვის დაუშვებენ მსგავს შეცდომებს და ამ თემაზე სალაპარაკო მუდამ იქნება. ეს გამოიარა „იუვენტუსმა“ და ახლა „ინტერის“ ჯერია. თუმცა არ მგონია, „ნერაძური“ იმას აკეთებდეს, რაც „ბებერმა ქალბატონმა“ გააკეთა



თა სატელეფონო ზარებით. არბიტრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეცდომები მოსდით. ადვილი არ არის, 90 წუთი უნაკლოდ იმსაჯო. თუმცა, როცა ამ შეცდომების უქმტესობა ერთი კლუბის სასარგებლოდ ხდება, ეს უკვე ცოტა დასაფიქრებელი ხდება. არ მინდა ვთქვა,

რომ ზოგიერთი მატჩის შედეგები წინასწარაა გადაწყვეტილი, მაგრამ რთულია, როცა მთელი კვირა თავდაუზოგავად ვარჯიშობ და თან იცი, რომ „ინტერი“ საკუთარი თუ სხვისი ძალისხმევით მაინც მოიგებს“ — დასძინა ტოტიმ.

გიორგი კაკაბაძე



პირველი რონალდუ

პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ ცოტა ხნის წინ თქვა, მსოფლიოს ნომერ პირველი მოთამაშე მე ვარ და არა კაკაო. ცნობილი უურნალისტი რიჩარდ გოდენი თავის ჩანახატში მას აბსოლუტურად ეთანხმება და ხსნის თუ რატომ...

„არ მჭირდება იმის ზედმეტად დემონსტრირება, რომ მსოფლიოში ნომერ პირველი ვარ. მთელი სეზონის განმავლობაში მინდორზე ნაწვენები თამაშით ყველა მშვენივრად ხედავს, თუ ვინ არის საუკეთესო და თუ სხვადასხვა გამოკითხვებში მსოფლიოში საუკეთესოდ დამასახელებენ, ეს სულაც არ გამიკვირდება“ — დიდი და მრავლისმთქმელი სიტყვებით კრიშტიანუ რონალდუსგან, კაცისგან, რომელმაც 2007 წლის „ოქროს ბურთისა“ და სხვა ჯილდოებისთვის ბრძოლა კაკასთან წააგო, მაგრამ...

ჩემთვის პორტუგალიელი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატიდან მოყოლებული საუკეთესოა. იგი ნელ-ნელა, მაგრამ მშვენივრად გადის ტიერი ანრის გზას და მფრინავი გარემარბიდან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად ყალიბდება. არ შეგეშალოთ და ლისაბონის „სპორტინგის“ ექსვარსკვლავს მხოლოდ ფლანგის მოთამაშე აღარ უწოდოთ. ვინც ხშირად უყურებთ „მანჩესტერის“ თამაშებს, ყველაფერი ისედაც კარგად იცით. რონალდუზე სტატისტიკაც ჩინებულად მეტყველებს — მიმდინარე სეზონში უკვე 27 გოლი და მრავალი საგოლე პასი.

რასაკვირველია, კაკა ასევე დიდებულ ტალანტად რჩება და მის დაკნინებას არავინ ცდილობს. მას უნიკალური თვისება აქვს — საოცრად სწრაფი და სასარგებლოა ბურთით და მის გარეშეც. იმის ყურება, თუ როგორ აკეთებს პასს ბრაზილიელი, როგორ ურტყამს და როგორ მოძრაობს, ერთ სიამოვნებად ღირს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ 2007 წელს იღბალი აშკარად მის მხარეს იყო.

როცა „მანჩესტერი“ და „მილანი“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის ნახე-

ვარფინალში გადაეყარნენ, ბეკრმა თქვა, ეს რონალდუსა და კაკას დევლია და გამოჩნდება, საუკეთესო ვინ არისო. თუმცა ეს არ იყო სამართლიანი შეჯიბრი. კარლო ანჯელოტის კაკას დასვენების საშუალება ჰქონდა და ბრაზილიელი იმ შეხვედრებისთვის მხნედ იყო. სერ ალექს ფერგიუსონს კი სხვა მანია არ ჰქონდა, თან მას 1999 წლის შედეგის გამოერება სურდა და რონალდუც ფაქტობრივად შეუსვენებლად ატარებდა მატჩებს სხვადასხვა ტურნირებში.

ეს ჰგავდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ორი მოკრივის ბრძოლას, ოღონდ ამთვან ერთ-ერთი ექსვი თვის კარგი ნავარჯიშობი გახლდათ, მეორე კი საყარჯიშოდ დიდ მატჩადმე მხოლოდ ერთი თვით ადრე გაუშვეს ცხადია, კაკამ იმარჯვა. ხოლო როცა „მილანმა“ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ევკვი ადარავის ეპარებოდა, რომ ყველა ჯილდოს ბრაზილიელი დაისაკუთრებდა.

ახლა რონალდოს საქმის ნახევარი უკვე გაკეთებული აქვს და 2008 წლის ჯილდოების მოგების მოთავარი კანდიდატი ისაა. მოთავარია, ჯანმრთელად იყოს და თუ ტრავმა ხელს არ შეუშლის, ძნელად სავარაუდოა, კრიშტიანუ ფორმიდან ამოვარდეს და რეგრესი განიცადოს. ძალიან ცოტა თუ იტყვის, რომ ამჟამად იგი მსოფლიოში საუკეთესო არ არის. პორტუგალიელს ახლა რეალურ კონკურენციას მხოლოდ ზლატან იბრაჰიმოვიჩი თუ უწევს და მისი „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულად თუ ითამაშებს, შესაძლოა, ეს რონალდუსთვის მორიგი იმედგაცრუების წელი გამოდგეს. თუმცა ეს უკვე სულ სხვა ჩანახატის თემაა...

რიჩარდ გოდენი



ბეზირს ხალხი აუჯანყდა რაული და გუტი ნაკრებში!

ესპანეთში ახლა რაულისა და გუტის ნაკრებში დაბრუნებას მოითხოვენ. კვირას „ვალენსიის“ მთავარი მწვანე იორივემ ფანტასტიკურად ითამაშა და „ფურია როხას“ ჯიუტ თაგვაც ლუის არაგონესსაც პროტესტის ახალი ტალღა დაატყდა თავს. „რეალის“ კაპიტნის ეროვნულ გუნდში აღდგენას იწასები ხომ ადრეც ითხოვდნენ, ახლა კი ხოსე მარია გუტიერესსაც დაუდგნენ დამცველად და ღონ ლუის არაგონესს ორმაგი ფრონტით შეუტყეს.

„ბერიკაცს“ რომ ჰკითხო, რაული-სთვის ნაკრები დამთავრებულია. არადა, შედეგებიდან ჩანს, რომ „რეალის“ მეშვიდე ნომერი ბრწყინვალე ფორმაშია და ეროვნულ გუნდში ყოფნას იმსახურებს — წერს მადრიდული „ასი“.

მართლაც, რაული ღღეს პრიმერადივიზიონში II გოლით ხოსემა იორენტესა და დანი გუისასთან ერთად საუკეთესო ესპანელი მეგოლეა. ამ სამეულიდან რეალელის სანაკრებო პერპეტუები უკვე ვიცით, გუისა ამჟამად „ფურია როხას“ წევრია, ვალიადოლიდელი იორენტე კი ეროვნული გუნდის ფეხბურთელი არასდროს ყოფილა. ჩემპიონატში 10 გოლი აქვს სხვა ესპანელს, ტამუდოს. ის ერთადერთი რაულია, ლუის არაგონესი თავისი ნაკრების თავდასხმაში თამაშის საშუალებას რომ აძლევს.

მადრიდელი რაული კი „ბერიკაცმა“ „როხას“ შემადგენლობიდან ამოაგდო, თუმცა „რეალის“ სიმბოლოს ამის გამო ფარ-ხმალი არ დაუყრია და დიადი რომ გახლავთ, ახლახან „ბერნაბეუზე“ „ვალენსიის“ დაამტკიცა. ტრავმირებული რაული ვან ნისტელროის არყოფნაში კაპიტანმა ჩვეული პოზიციიდან ცოტა წინ გადაინაცვლა და ორი გოლი შეაგდო. მადრიდული

გრანდის არენაზე თავმოყრილმა ინჩასებმაც ჭეშმარიტად რეალური (ან, გნებავთ, რაულური) სიტუაცია იხილეს — მეტოქის მცველთაგან თავისუფალი სივრცის ელვისებურად გაბრუნა, გუტის მონუმენტური პასი და ერთი ერთზე დაბრუნებული მეკარე... ეს იყო გოლი, რომლის დამახავა „ბერნაბეუს“ სპიკერმა არტურო სისომ სამეფო თეთრთა ყველა ნამდვილი ფანის გულის გასახარად მიკროფონში ჩაჰყვირა, გოლი დიდმა კაპიტანმა და ესპანეთის ნაკრების შვიდიანმა გაიტანაო. სენიორ სისოს მატჩის მერე ჟურნალისტებმა უმაღლესი კითხვები დასვეს: დიდი ემოციით ნათქვამი როგორ უნდა გაგივითო. „ფრაზა უცებ მომაფიქრდა, წინასწარგანზრახვით არაფერი მოქცამს“ — უპასუხა სპიკერმა მედიას.

ისე, მეგოლეებისთვის „როხას“ ფორმა ადრეც დაუმალავთ. 2004 წლის პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატი გავისხენით — მიგელ ანხელ მისტას და რაულ ტამუდოს მამნი 19 გოლი ჰქონდათ გატანილი, მაგრამ დამრიგებელმა ინაკი საესმა ეს ბიჭები ლუზიტანიაში არ წაიყვანა. შედეგაც არ დააყოვნა — ესპანელებმა გათამაშების პირველი ეტაპი ვერ გადალახეს და გოლეების კორიანტელიც არ დაუქცნებიათ. „როხას“ სამ მატჩში ორი გოლი შეაგდო, ერთი რუსეთთან (1:0) და ერთიც — საბერძნეთთან (1:1).

ღღეს კი ხალხი ნაკრებში გუტის ითხოვს. ვინც კვირას სამეფო თეთრთა ქერა რაინდის თამაში ნახა, დარწმუნდა, რომ ესპანელთაგან პასი ყველაზე უკეთესი გუტის ენერჯია და, გარდა ამისა, კოლის შეგდებაც იცის. მოდიო, ახლა ხოსე მარია გუტიერესი კრივის გლადიატორად წარმოვანიოთ — ვინ მოიგებდა რინგზე, გუტი თუ სესკი, რომელმაც „როხასში“ შესანიშნავ

ფორმას ჯერაც ვერ მიღწია? და სავარაუდო შერკინებები ხავისთან, ინესტასა თუ სილვასთან როგორ დამთავრდებოდა? დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოკაუტს ვინ ჩივის, ქერა მადრიდელი ქულებითაც არ წააგებდა თავის მეტოქეებთან...

ისევე ფეხბურთის დაგებრუნდეთ. გუტის რაულთან შედარებით უკეთესი სიტუაცია აქვს. ბოლოს და ბოლოს, მასსა და ლუის არაგონესს შორის პიროვნული დაპირისპირება არ არსებობს. „ბერიკაცს“ ადრე ყიამყრალი მადრიდელის უხეშმა ხუმრობებმა ნერვები მოუშალა, თუმცა გუტის რაულივით არ გადაჰკიდებია. ეს კი არა, ერთხელ სახალხოდ თქვა კიდევ — ვიცი, ეს ყიამყრალი, საქმეს რომ დასჭირდება, მოედანზე სულს და გულს დადებსო. მსგავსი რამ არაგონესს რაულზე ცხოვრებაში არ წამოსცდენია.

„რაულსაც ავიყვანდი ესპანეთის ნაკრებში და გუტისაც, თუმცა ეს ამბავი მე კი არა, ეროვნული გუნდის მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს“ — აცხადებს ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი. ანუ სრულიად ესპანეთმა არაგონესისგან დაჩაგრული კაპიტნის მერე ყურადღება საუკეთესო ესპანელ მეპასე გუტიზე გადაიტანა. და რას ამბობს განკიცხულია დაბრუნებაზე თავად არაგონესი? „ყველამ თავი დამანებეთ, რაულია და გუტის შესახებ დებატების აფეთქებას არ ვაპირებ“ — ამბობს ჯერჯერობით ღონ ლუისი. დებატები ადამიანს რომ ანერვიულებს და მავანს კამათში ჩაბმა არ უნდა, გასაგებია, მაგრამ ამ სეზონში ესპანელთა საუკეთესო მეგოლე რაული ევროპის ჩემპიონატის მიღმა რატომ უნდა დარჩეს, ეს კი სრულიად გაუგებარია.

ლადო ხომერიკი



კრუიფმა ედმილსონი (მარცხნივ) მუგაგედ გააყრიტყა

კრუიფი: ბარსელონა ნახევარდასვა დაღუპა

იოჰან კრუიფმა კვირას „სევილიასთან“ „ბარსელონას“ უძწეობა კატალინური გრანდის ნახევარმცველთა ცუდ თამაშს დააბრალო: „ბარსას“ ნახევარდაცვა პოზიციურად ხშირად ცდებოდა და გუნდი მძიმე დღეში ჩაავდო. გაიხსენეთ, რამდენჯერ დაჭრა ვიქტორ ვალდესს ბურთისთვის ბრძოლაში ჩაბმა. მეკარის აქტიურობა თანაგუნდელ ნახევარმცველთა შეცდომების შედეგი იყო.

„მარკასთან“ საუბარში კრუიფმა თქვა: „გასაგებია, როცა ვიქტორ ვალდესს გოლკიპერის საუკეთესო თვისებების გამოუღწეაში მოწინააღმდეგის თავდამსხმელები ეხმარებიან, მაგრამ როცა მეკარის საქმეს მისივე ნახევარმცველების არაზუსტი ბურთობა ურთულებს, სიტუაცია უკვე საგანგაშო ხდება და გუნდის თავკაცობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს“.

„ბარსას“ ყოფილმა „გურუმ“ ანდალუზიაში დაკარგულ ქულებში

სამი ძირითადი ნახევარმცველი დადანაშაულა — ედმილსონი, ინესტა და ხავი. მათ პოზიციური ომი დათმეს, რამაც გუნდზე მძიმე გავლენა მოახდინაო. თუმცა ჰოლანდიელმა ხავი ვიქტორ ვალდესთან ერთად მატჩის გმირადაც აღიარა — „ხავის გოლი რომ არა, რაიკარდის გუნდს შინ წაგებულს მოუწევდა დაბრუნება“ — ამბობს კრუიფი.

მედიასთან მასლაათის დასასრულს, დიდმა იოჰანმა ინგლისური პრემიერლიგის ამასწინანდელი სიახლე გაიხსენა. ინგლისელებმა, მოგეხსენებათ, გადაწყვიტეს უძაღლე სილივის ერთი, დამატებითი ტურის უცხოეთში ჩატარება. ეს ასეურდია. ეროვნული ჩემპიონატის მატჩები სამშობლოში უნდა ტარდებოდეს, სახლში და შენივე ფანობის თვალწინ. მორჩა და გათავდა“ — დაუწუნა ნოვაცია სახელგანთქმულმა კაცმა ბრიტანელებს.

ლადო ხომერიკი

ალმერიული 2008

უნაი ემერის „ალმერიაში“ პრიმერადივიზიონის 23-ე ტურში „მალორკასთან“ 0:0 ითამაშა. ქულა ამ მატჩში ალმერიელებს, ცხადია, ერთი ერგოთ, მაგრამ კუნძულებთან არწავება გუნდის წლევანდელ მონაგარს მიემატა და აღმოჩნდა, რომ „ალმერიას“ 2008 წელს მარცხი საერთოდ არ განუცდია.

წლეულს მოპოვებული ქულათა რაოდენობით „ალმერია“ „ბარსელონას“ უტოლდება — ორივეს შესაძლო 18-დან 14 მოუნადირებია. ეს საერთოდ მეორე მაჩვენებელია, პირველზე კი 15 ქულით ბერნდ შუსტერის მადრიდის „რეალი“ ლაღობს. თუმცა სამეფო თეთრებს ხიფათიანმა ანდალუზიელებმა გვარიანად აწყენინეს, „ალმერიაში“ ხომ ორი ტურის წინ „რეალი“ 2:0-ზე დააყუდა.


ბოლო თვენახევარში ემერის ბიჭების მსხვერპლი მარტო სამეფო გუნდი არ გამხდარა. „ალმერიაში“ „ვალენსია“, „ესპანიოლი“ და „ლეპორტივოც“ დაამარცხა.

ღღეს უნაის არამადა პრიმერადივიზიონის ცხრილში მერე ადგილზეა და ასე თუ გააგრძელა, გაისად ევროტურნირებზეც ითამაშებს. როგორც მინიმუმ, უეფაზე გამოსვლა ანდალუზიელთათვის ალაღია.

ლადო ხომერიკი



მოსკოვში უეიქლეაბა თბილისი გადაწყდეს სამბისტები მედლებს გვპირდებიან



გადარი კაბინიანი ფოტო

მოსკოვში ტურნირის პარალელურად ევროპის სამბოს ფედერაციის კონგრესი ჩატარდება, რომელზეც წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანას დაასახელებენ. ევროპირელობა უკრაინაში უნდა ჩატარებულიყო, თუმც მათ უარი განაცხადეს და ახლა სამსპინძლოდ სამი კანდიდატი ქვეყანა იბრძოლებს — ბელარუსი, რუსეთი და საქართველო. ამის შესახებ სამბისტთა ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაქემ** გვითხრა:

— 15 თებერვალს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი ჩატარდება და ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი გაირკვევა. ჩვენ ოფიციალური წერილი მიგვაქვს სპორტის დეპარტამენტიდან. სახელმწიფო ყველანაირად დაგვეხმარა, რომ ეს ტურნირი საქართველოში გაიმართოს. პირადად ველაპარაკე დავით ნამგალაურს და ის დახმარებას დაჰპირდა. წლეულს ბელარუსი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს ევროპირელობას უმასპინძლებს, რუსეთი კი — დიდების მსოფლიოს ჩემპიონატს. ესეც გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს. იმავე კონგრესზე ევროპის ფედერაციის ახალ პრეზიდენტსაც აირჩევენ. ვნახოთ, დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველას ვაჯობებთ. რაც შეეხება პუტინის თასს, ის შარშან გუნდური პრინციპით ჩატარდა, თუმც იმის გამო, რომ რუსებს უშინაოთ, საქართველომ ან ბელარუსმა პირველობა არ წაართვას, ახლა ჩვეულებრივად, პირადი პირველობა ჩატარდება. ბელარუსსაც უძლიერესი ნაკრები ჰყავს. მოსკოვიდან 5-6 მედლის ჩამოტანას ვგეგმავთ. ამის მერე საქართველოს ჩემპიონატს ჩაგატარებთ ახალგაზრდებს, მარტში კი აზერბაიჯანის სამივე ასაკობრივ ნაკრებს მოვიწვევთ ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად. პირველი აპრილიდან 5-დღიან შეკრებას ვაგვივლით და მერე ევროპის ჩემპიონატის დროც მოდის და იქნებ თბილისში მოგვიწიოს ჭიდაობა...

ლემსო მაისურაძე

14-16 თებერვალს რუსეთის დედაქალაქი ვლადიმერ პუტინის სახელობის ტურნირის უმასპინძლებს სამბოში. მოსკოვში თავს 18 ქვეყნის უძლიერესი სამბისტები მოიყრიან. ტურნირის ფორმატი ისეთია, რომ იქ გამოსვლის უფლება მხოლოდ 2007 წლის ევროპისა და მსოფლიოს პრიზორებს აქვთ. ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრებს 8 სპორტსმენის გამოყვანა შეუძლია, ხოლო ერთ წონაში, 68 კგ-ში ფალავანი არ გვე-

ვოლება, რადგან შარშან ამ კატეგორიაში ვერავინ იყოფა. შემადგენლობა კი ასეთია — უმანგი კუზანაშვილი (52კგ), ავთანდილ ცინცაძე (57კგ), დავით სიმონიშვილი (62კგ), კახა მამულაშვილი (74კგ), ნიკო კუცია (82კგ), მინდია ბოლაძე (90კგ), მირიან პავლიაშვილი (100კგ), ზვიად ჩინჩალაძე (მძიმე). სხვათა შორის, უმანგი კუზანაშვილი ძიუდოშიც ხშირად ცდის ხოლმე ძალებს და ამას წინათ „თბილისის მსოფლიოს თასზეც“ იჭიდავა.


ჩ აბიატლონი

შერეული გერმანია

შვედურ ოსტერსუნდში ერთდღიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი შერეული ესტაფეტით განახლდა. შერეული ესტაფეტა შედარებით ახალი ხოლმე ბიატლონის სამყაროში — საწყის ორ ეტაპზე ქალები დარბიან ექვს კილომეტრზე, შემდეგი ორი ეტაპი კი კაცებისა და 7,5 კილომეტრს შეადგენს სასროლეთი ყველა ეტაპზე ორთა და კლასიკური საესტაფეტო სკენარით ხდება, ანუ თითოეულ მონაწილეს ხუთ სამხენზე რვა ვაზნა აქვს და თუ დამატებითი ვაზნებიც არ ეყოფა, შემდეგ თითოეულ მთელ სამხენზე თითო საჯარიმო წრეა. შერეული ესტაფეტაში ბევრმა ნაკრებმა თავისი ლიდერები დაასვენა. მაგალითად, ნორვეგიელებმა ოლე ე-

ნარ ბიორნდალენის გარეშე სცადეს ბედი, რუსებს მაქსიმ ჩუდოვი და ეკატერინა იურევა არ ჰყავდათ, გერმანელებმა ოსტერსუნდში უკვე ორი ოქროს მომპოვებელი ანდრეა პენკელი დაასვენეს... ერთადერთი, მასპინ-

ძელი შვედები გამოვიდნენ საბრძოლო შემადგენლობით, რათა ერთი წლის წინ მოპოვებული საჩემპიონო ტიტული დაეცვათ, მაგრამ არ გამოუვიდათ — ჩემპიონობას ვინ ჩივის, საერთოდ უშედეგოდ დარჩნენ.



გადასცა. ანდრეას ბირნბახერმა და მიხაელ გრანისმა, ამხელა ფორა უპრობლემოდ შეინარჩუნეს. თანაც გრანისისთვის ეს პირველი სტარტი იყო ოსტერსუნდში და ტურნირის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა თავისი მედლების კოლექცია ერთი ოქროთი დაამდიდრა.

ლემსო მაისურაძე



გადარი კაბინიანი ფოტო

ქართველები პეკინში პეკინისტვის იბრძობენ

სვალ ქართველი წყალში მბრძოლები, ჯოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი პეკინში გაემგზავრებიან და მე-16 მსოფლიოს თასზე მიიღებენ მონაწილეობას, სადაც ოლიმპიადის 18 ლიცენზია გათამაშდება. ჩინეთში სულ 55 ქვეყნის სპორტსმენები მოგროვდებიან და ბოლო სალიცენზიო მანის გამოყენებას შეეცდებიან. ამ 18 ლიცენზიის გარდა კიდევ ოთხი ლიცენზიაა ჩამოსარიეგებილი, ოღონდ ის უკვე რეიტინგის მიხედვით მიეკუთვნება მბრძოლებს. ამიტომაც თითოეულ ქულას ოქროს ფასი ექნება. გარდა ამისა, თუ რომელიმე წყალში მბრძოელი სალიცენზიო სიაში მოხვდება და მას ლიცენზია მანამდე აქვს დასაკეთებული, ავტომატურად მის ადგილს მომდევნო იკავებს და ესეც გარკვეული მანძილი ჩვენი ბიჭებისთვის. ამ ამბებზე დაწვრილებით საწყლონსო სახეობათა გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია** გვესაუბრა:

— ორივე სპორტსმენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ტურნირის სრულ მზადყოფნაში ხვდება. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა და ლიცენზია მოიპოვეს, მაშინ ეს უნიკალური მოვლენა იქნება, რადგან მათ ასაკში მხოლოდ ჩინელი მბრძოლები აკეთებენ ამას და ისინი კი ძალიან მაგრები არიან. კორახაშვილი 1991 წელს, ხოლო ჭანტურია 1989 წელსა დაბადებული. წყვილებში 4 წყვილი მიიღებს ჩინეთის საგზურს და აქ ალბათ გავეჭირდებთ, თუმც გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ ნახტომების პროგრამაში და მაინც იმედი გვაქვს. უფრო მეტი მანძილი ინდივიდუალურშია და ვნახოთ... მსოფლიოს თასის დასრულებისთანავე პეკინიდან მეორე ჩინურ ქალაქ შენჩენში გადავინაცვლებთ და მსოფლიოს გრან პრიში გამოვალთ.

ლემსო მაისურაძე

